ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

21 აპრილი, შაბათი, 1990 წ.
№ 75 (10 248) ● ფასი 3 კაპ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს ჩემპიონატი რაგბიში

# „მიმინო" ლაღად ათამაშდა

18 აპრილი. ვაკის სტადიონი. „მიმინო" (თბილისი) — ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) 42:15 (12:6). თამაში „მიმინოს" იერიშებით დაიწყო. უკვე მე-7 წუთზე შერკინების „თავკაცმა" კაპანაძემ თანაგუნდელთა „მრავალსვლიანი" კომბინაცია ლელოს გატანით დააგვირგვინა. შემდეგ თამაში თანდათან გათანაბრდა. 55-ე წუთამდე ტექნიკური უნივერსიტეტის მორაგბეებს ერთგვარი უპირატესობაც კი ჰქონდათ. ბურთს მეტწილად ისინი ფლობდნენ, მაგრამ იმდენად უგერგილოდ უტევდნენ, რომ ლელოს გატანა ვერაფრით მოახერხეს. ულიმღამო თამაშით განსაკუთრებით ტექნიკოსთა მთელი უკანა ხაზი გამოირჩეოდა. და მაინც, შეხვედრის ამ მონაკვეთში მიმინოელი კვაჰანტირაძის მიერ შეგდებულ ორ საჯარიმოს სტუ-ს დამრტყმელმა კობახიძემ მორკინალთა გარჯით მოპოვებული სამი საჯარიმოს გატანით უპასუხა — 12:9 „მიმინოს" სასარგებლოდ.

გარდატეხა თამაშის მსვლელობაში 58-ე წუთზე მოხდა. მიმინოელმა ძნელაძემ მეტოქის 22-მეტრიან მოედანში მოხდენილად ითამაშა და დვალს ლელო გაატანინა. თითქოს ამას უცდიდნენო, „მიმინო" ლაღად ათამაშდა, სტუ კი, პირიქით, მოდუნდა და, ფაქტიურად, დანებდა მეტოქეს. დარჩენილ დროში „მიმინომ" კიდევ ოთხი ლელო გაიტანა (დვალმა, ჯანელიძემ, ხარატმა, ნიკურაძემ), კვაჰანტირაძემ კი უკლებლივ ყველა გარდასახა. თამაშის მიწურულს ტექნიკოსმა დიდებულიძემ გაიტანა „პრესტიჟის ლელო", რომელიც გარდასახა კობახიძემ.

ამრიგად, ჩემპიონატში უკვე თორმეტივე გუნდი ჩაება. დღევანდელი გათამაშების ცხრილები ასე გამოიყურება (შეგახსენებთ, რომ მოგებისათვის გუნდს ენიჭება 4 ქულა, ფრესათვის — 2, „ღირსეულად" ანუ ექვსი ან ნაკლები ქულის სხვაობით წაგებისათვის კი — 1; ცხრილში ამგვარ წაგებათა რაოდენობა ნაჩვენებია „ღ" სვეტში):

„ა" ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | დ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტუ (თბ.) | 3 | 2 | 0 | 0 | 1 | 8 |
| „აია" (ქ). | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 4 |
| „მიმინო" (თბ.) | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 4 |
| „იმერეთი" (ჭ.) | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 4 |
| „შევარდენი" (თბ.) | 2 | 0 | 0 | 1 | 1 | 1 |
| „აკადემია" (თბ.) | 2 | 0 | 0 | 1 | 1 | 1 |

„ბ" ქვეჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ასოციაცია" (თბ.) | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 8 |
| „უნივერსიტ." (თბ.) | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 5 |
| „ელმავალი" (თბ.) | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 4 |
| ზოოვეტი (თბ.) | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 4 |
| „სათაფლია" (წყ.) | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 |
| „გელათი" (ქ.) | 2 | 0 | 0 | 1 | 1 | 1 |

შაბათ-კვირას მესამე ტურია. დღეს, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონზე ითამაშებენ სამხატვრო აკადემია და სსი „შევარდენი". დასაწყისი 15 საათზე. ხვალ ქუთაისის „გელათი" უმასპინძლებს ზოოვეტს, ვარკეთილის სარაგბო მოედანზე კი ორი შეხვედრა გაიმართება: „მიმინო" ეთამაშება ჭიათურის „იმერეთს", „ასოციაცია" კი — წყალტუბოს „სათაფლიას". ვარკეთილში თამაშები ასევე 15 საათზე დაიწყება.



ს უ რ ა თ ზ ე: „მიმინო" — სტუ. შეხვედრის ეპიზოდი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ქალთა შორის ჭადრაკში

# არახამია — 7-დან 7!

გადადებული პარტიების დამთავრება: იოსელიანი-გურიელი 1:0, კახიანი-არახამია 0:1, მელაშვილი-ალექსანდრია 0:1, კობაიძე-ქახოშვილი 0:1, კობაიძე-ხურცილავა 0:1, იოსელიანი-ხადუნიშვილი 1:0, ხადუნიშვილი-გურიელი 0,5:0,5.



ქეთევან არახამია

7 შესაძლებლიდან 7 ქულა! — ასეთია ახლა გათამაშების ლიდერის არახამიას შედეგი. რა თქმა უნდა, ეს დიდი წარმატებაა. მაგრამ პირველი ადგილისთვის ბრძოლა ჯერ წინაა. იოსელიანი პარტიას პარტიაზე იგებს და ლიდერის სერიოზული მეტოქე გახდა. ასეთი რამ ბევრჯერ გვინახავს. სხვადასხვა მიზეზების გამო (მათი ახსნა ძალზე ძნელია) იოსელიანი სტარტზე შეფერხდება ხოლმე, რითაც თავის გულშემატკივრებს საგონებელში აგდებს. იმ მომენტში კი, როცა ტურნირში რაიმე წარმატებაზე თითქმის ლაპარაკიც კი აღარ შეიძლება, ეს დიდი ნებისყოფის მოჭადრაკე უცბად სრული ძალით იწყებს თამაშს და იუმჯობესებს მდგომარეობას. ზუსტად ასე ხდება ახლაც.

ასეთ ვითარებაში ძალზე დიდი, შეიძლება გადამწყვეტიც კი, მნიშვნელობა ექნება მეათე ტურის შეხვედრას იოსელიანსა (თეთრები) და არახამიას შორის. მანამდე ასევე საინტერესო უნდა გამოდგეს მეცხრე ტურის შეხვედრა: ალექსანდრია (თეთრები) — იოსელიანი. საქმე ის არის, რომ ალექსანდრიამ, რომელმაც სტარტზე 2 პარტია წააგო, შემდეგ ნაწილობრივ გამოასწორა მდგომარეობა და ლიდერებს კვალში ჩაუდგა. ეს მოსალოდნელიც იყო — ალექსანდრიას ხომ კარგა ხანია არსად უთამაშია და სრული საბრძოლო მზადყოფნის აღსადგენად დრო სჭირდებოდა. იგი მეთერთმეტე ტურში თეთრებით ხვდება ძველ მეტოქეს — გაფრინდაშვილს. გასაგებია, თუ როგორ ინტერესს გამოიწვევს ეს პარტია. უკვე მომდევნო ტურში კი გაფრინდაშვილის მეტოქე „თვით" არახამია იქნება.

როცა საპრიზო ადგილების პრეტენდენტებზე ვლაპარაკობთ, ნურც გურიელსა და კახიანს დავივიწყებთ. ჩვენ მხოლოდ ლიდერთა შეხვედრებზე ვლაპარაკობდით, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ დანარჩენმა მონაწილეებმაც იციან ხელის გამოღება. შორს რომ აღარ წავიდეთ, ამის მაგალითად ნიკოლაძე-გაფრინდაშვილის პარტიის შედეგიც გამოდგება. ამასთან, დასკვნით ტურებში ბრძოლის ბუნებრივ გამწვავებასთან დაკავშირებით მსგავსი შედეგები უხვად იქნება.

რა თქმა უნდა, დანარჩენ მონაწილეებსაც აქვთ თავიანთი პრობლემები. გამოცდილი საერთაშორისო ოსტატები ხუგაშვილი და ქასოშვილი ღირსეულად იბრძვიან და შეუძლიათ საპრიზო ადგილებისთვის „დავაშიც" კი ჩაერიონ. ნორჩმა ლანჩავამ რამდენიმე პარტია კარგად წარმართა. დასასრულს, არავის უნდა ბოლო ადგილზე გასვლა. ყოველივე ეს კი იმას ნიშნავს, რომ შეჯიბრების მეორე ნახევარში მეტად მძაფრი ბრძოლის მოწმენი უნდა გავხდეთ.



მორიგ ტურზე მიიჩქარის ქართული ჭადრაკის ვეტერანი, ტურნირის მთავარი ექიმი ანდრო დონლაძე.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

**მდგომარეობა 7 ტურის შემდეგ: არახამია — 7 ქულა, იოსელიანი — 5,5, გაფრინდაშვილი — 5, ალექსანდრია — 4,5, კახიანი — 4, გურიელი, ქასოშვილი, ხუგაშვილი — 3,5 ქულა თითოეულს, ლანჩავა — 3, მელაშვილი — 2,5, ხადუნიშვილი, ხურცილავა, ნიკოლაძე — 2-2, კობაიძე — 1.**

გ. თხინვალელი.

## გულშემატკივრის აზრი

### რევაზ ტაკიძე, დირიჟორი

**ნონა** გაფრინდაშვილის თამაში პირველად ბათუმში 1959 წელს ვნახე და იქიდან მოყოლებული, მისი ერთგული გულშემატკივარი გავხდი. გადის წლები — ნონა 16 წლის მანძილზე მსოფლიო ჩემპიონი იყო, შემდეგ პრეტენდენტთა რიგებში გადაინაცვლა, ჩემი სიმპათიები კი არ იცვლება. შეხედეთ, როგორი შემართებითა და ენერგიით თამაშობს ნონა ამ შეჯიბრებაში, როგორი სიმკაცრით და თანმიმდევრობით.

ვინც არახამიას გამოსვლებს ადევნებს თვალს არ შეიძლება არ მოიხიბლოს მისი ნამდვილი შემოქმედებითი წვით. როგორი მონდომებით თამაშობს, როგორ მიისწრაფვის ყველა პარტიაში გამარჯვებისკენ!

გაფრინდაშვილი და არახამია — აი ჩემი აზრით, ამ შეჯიბრებაში გამარჯვების ყველაზე უფრო რეალური პრეტენდენტები.

# მსოფლიო თასი ინგლისელ მხედარს

**გერმანიის** ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ დორტმუნდში დამთავრდა მსოფლიო თასის გათამაშება ცხენოსნობაში (დაბრკოლებათა გადალახვა). ასპარეზობის პროგრამაში შემავალი სამი სახეობის ჯამში მსოფლიო თასს დაეუფლა ინგლისელი მხედარი ჯონ უაითეიკერი. გარდა ამისა, მას, როგორც გამარჯვებულს, გადასცეს 144.000 შვეიცარიული ფრანკი და 65.000 მარკის ღირებულების „ვოლვოს" ფირმის მანქანა.

უაითეიკერის საბოლოო შედეგია (4 საჯარიმო ქულა). მეორე ადგილი დაიკავა ფრანგმა მხედარმა, სეულის ოლიმპიადის ჩემპიონმა პიერ დიურანმა (12,50), მესამე იყო დასავლეთგერმანელი ფრანკე სლოოტჰაკი — 14,00.

ასპარეზობის სპონსორი იყო საქვეყნოდ ცნობილი საავტომობილო ფირმა „ვოლვო" და უნდა აღინიშნოს, რომ საპრიზო ფონდი მსოფლიო თასის გათამაშების ისტორიაში არასოდეს ყოფილა ასეთი სოლიდური — 500.000 შვეიცარიული ფრანკი.

შეგახსენებთ, რომ შარშან მსოფლიო თასის გათამაშება გაიმართა ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ტამპაში და გაიმარჯვა კანადელმა იან მილარმა.

წელსვე, ზაფხულში, გაიმართება კიდევ ერთი ძალზე საინტერესო ასპარეზობა საცხენოსნო სპორტში. ესაა პირველი მსოფლიო საცხენოსნო თამაშები, რომელსაც სტოკჰოლმი უმასპინძლებს. ასპარეზობის პროგრამაში იქნება ოლიმპიური კონკური, ცხენის გაწვრთნა, სამჭიდი, შესაბმულთა რბოლა, საცხენოსნო გადარბენები და ვოლტიჟირება.



# სუპერფინალში

**კალათბურთელთა** საკავშირო ჩემპიონატები (ვაჟთა და ქალთა) ფაქტიურად დამთავრდა. ახლა ტარდება სუპერფინალები პრიზიორთა გამოსავლენად.

**ალმა-ათა.** ადგილობრივი არმიელები და შარშანდელი ჩემპიონი კიევის „ბუდიველნიკი" მესამე ადგილისთვის იბრძვიან. პირველი მატჩი ერთობ მძაფრი და დაძაბული გამოდგა, განსაკუთრებით მისი პირველი ნახევარი, რომელიც მასპინძლებმა ქულით მოიგეს (47:46). ბრძოლა შესვენების შემდეგაც შეუპოვარი იყო და დამთავრდა ალმა-ათელთა გამარჯვებით — 87:79. ახლა ბევრი რამ არის დამოკიდებული განმეორებით შეხვედრაზე.

**ლენინგრადი.** ქალთა შორის ოქროს მედლებისთვის ადგილობრივი „ელექტროსილა" და ცსკა იბრძოდნენ. პირველი შეხვედრა მოსკოვში ნევისპირელებმა მოიგეს — 93:92. შინ „ელექტროსილამ" კიდევ უფრო კარგად ითამაშა — 102:84 (58:48) და დამსახურებულად მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედლები.

**ვოლგოგრადი.** ქალთა იმავე ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლების პრეტენდენტები იყვნენ ვოლგოგრადის „დინამო" და მოსკოვის ოლქის „სპარტაკი". პირველმა ორმა შეხვედრამ უძლიერესი ვერ გამოავლინა: მეტოქეებმა თითო მატჩი მოიგეს. მესამე, გადამწყვეტ ორთაბრძოლაში გამარჯვება ვოლგოგრადელებს დარჩათ 91:80 (50:39), რომლებმაც დაისაკუთრეს კიდეც ბრინჯაოს მედლები.

**მოსკოვი.** საბჭოთა კავშირის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულია რუსეთის ფედერაციის სპორტსახკომის თავმჯდომარე ვ. სმირნოვი. ამასთან დაკავშირებით სმირნოვმა სპორტსახკომის თავმჯდომარის პოსტიდან განთავისუფლება ითხოვა. ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე კანდიდატებად დასახელებული იყვნენ, აგრეთვე, სსრ კავშირის სპორტსახკომის თავმჯდომარე ნ. რუსაკი და ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ი. ტიტოვი, მაგრამ ამ უკანასკნელმა კენჭისყრის დაწყებამდე მოხსნა თავისი კანდიდატურა.

**ბონი.** საქსონიის გზებზე ტრადიციულ მრავალდღიან ველორბოლაში გამარჯვება მოიპოვა გდრ-ის წარმომადგენელმა თომას ლიზემ. მისი შედეგია 32 საათი, 40 წუთი და 51 წამი. მეორე ადგილი წილად ხვდა ზბიგნევ პიატეკს (პოლონეთი), რომელიც გამარჯვებულს 41 წამით ჩამორჩა. მესამე ადგილზე გავიდა სერგეი ზმიევსკი (მინუს 58 წამი). გუნდური გამარჯვება გდრ-ის ველოსიპედისტებმა მოიპოვეს. საბჭოთა კავშირის ნაკრები მესამე იყო.

**ბრიუსელი.** ტრადიციული, 79-ე ველორბოლა ბელგიის გზებზე მოიგო ჰოლანდიელმა ჯონ ტალენმა. მეორე ადგილი ბელგიელმა ერიკ ვანლერერდერმა დაიკავა, მესამე — მისმა თანამემამულემ იოაჰიმ მუსეეუსმა. საბჭოთა ველოსიპედისტს ასიატ საიტოვს მე-11 შედეგი ჰქონდა.

**მარსელი.** აქ დაიწყო წყალბურთელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. გთავაზობთ პირველ შეხვედრათა შედეგებს: სსრ კავშირი-საბერძნეთი 13:5, ესპანეთი — რუმინეთი 14:11, აშშ-კანადა 10:0, გფრ-საფრანგეთი 16:6.

**ბონი.** გრძელდება ქალთა მრავალდღიანი საერთაშორისო ველორბოლა. მეექვსე ეტაპზე უძლიერესი იყო ჰოლანდიელი ლეონტინა ვან მოორელი. მასვე დარჩა საერთო გამარჯვება. გუნდურ ჩათვლაში პირველობა ჰოლანდიის ნაკრებმა მოიპოვა.

**რომი.** „ფორმულა-1-ის" პოპულარულ ტრასაზე „დინო ფერარიზე" იტალიელმა რიკარდო პატრეზემ ვარჯიშის დროს ახალი რეკორდი დაამყარა („უილიამს-რენო"). ერთი წრე მან 1 წუთსა და 26,928 წამში გაიარა, რაც საათში საშუალოდ 211,154 კილომეტრს უდრის.

# როდემდე?!

## კვლავ ბაკურიანის დიდი ტრამპლინის შესახებ

**ერთხელ** ცნობილმა ლენინგრადელმა სპეციალისტმა თხილამურებით ხტომაში პაველ დემენტიევმა სინანულით წარმოთქვა: „ასეთი შესანიშნავი მხტომელი გყავთ კობა წაქაძე და შესაფერისი ტრამპლინი კი არ გაქვთ საქართველოში (მაშინ ბაკურიანში ჯერ კიდევ არ იყო დიდი, 90-მეტრიანი ტრამპლინი)".

...ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ. ბაკურიანში აღიმართა 90-მეტრიანი ტრამპლინი, მაგრამ, მოგეხსენებათ, უკვე რამდენიმე წელია მისგან არაფერი დარჩა — გრუნტის წყლებმა, მეწყერმა ჩამორეცხა, ჩამოიტანა მიწა-კედელი... ერთი სიტყვით, მეწყერმა წაიღო ტრამპლინიცა და მასთან ერთად ბაკურიანის დიდი საერთაშორისო შეჯიბრებაც, 1974 წლიდან რომ ტარდებოდა.

დიახ, გავიდა წლები — ახლა წაქაძეების ოჯახიდან მეორე ნიჭიერი მხტომელი „ამოფრინდა", რომელიც სახელოვანი მამის მსგავსად გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევს — ხან „თეთრი სპარტაკიადის" ჩემპიონი ხდება, ხან ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალს იგებს, ხან საერთაშორისო ტურნირს...

აი პრობლემა №1 კი კვლავ რჩება — კახა წაქაძე, ელგუჯა ორჯონიკიძე, ვალერი მინასიანი, იბრაგიმ გობოზოვი, რომ იტყვიან, კრიტიკულ ასაკს უახლოვდებიან, შინ კი ვერა და ვერ ელირსათ 90-მეტრიანი ტრამპლინი, სავარჯიშოდ ხან გორკში „გარბიან", ხან ნიჟნი ტაგილში, ხან კიროვსკში და ხან ტისოვეცში.

კახა წაქაძის ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ტისოვეცში გულისტკივილით, მაგრამ ერთობ ოპტიმისტურად გვითხრა ცნობილმა ვეტერანმა ანატოლი ქეგლანოვმა: „ეგებ ახლა მაინც აღადგინონ თქვენი დიდი ტრამპლინი?!".

მართლაც და ეგებ ახლა მაინც?..

გაისად თებერვალში იტალიაში გაიმართება მსოფლიოს თასის გათამაშება, მერე კი იუგოსლავიის ქალაქ პლანინცაში ტრამპლინიდან ფრენაში ტრადიციული ასპარეზობა ელით ჩვენს საუკეთესო მოთხილამურეებს, რომელთა შორის, ვიმედოვნებთ, კახა წაქაძეც იქნება! შეგახსენებთ, რომ სულ ახლახან მან შესანიშნავად დაამთავრა ზამთრის სპორტული სეზონი ფინეთის ქალაქ როვანიემის 55-მეტრიან (არის ასეთებიც!) ტრამპლინზე მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვან სპორტსმენთან ჭიდილში იგი მერვე იყო — 101,7 ქულა (ნახტომები 57,5 და 58 მეტრზე). შედარებისათვის გეტყვით, რომ მისი სასპარტაკიადო ოქროს მედლის „მოცილე", მინსკელი სერგეი ჩუმაკი მხოლოდ მე-14 ადგილზე გავიდა (93,4 ქულა, 56 და 57 მეტრი), ხოლო სვერდლოვსკელი იური დუდაევი — მე-15 (91,5 ქულა, 56,5 და 57,5 მეტრი). ასე რომ, ვინ-ვინ და თუ საბჭოთა კავშირიდან ვინმეს გააგზავნიან საასპარეზოდ იტალიასა და იუგოსლავიაში, ეს, პირველ ყოვლისა, ალბათ კახა წაქაძე იქნება...

მაგრამ, საკითხავია, სად მოემზადება იგი ამ დიდი ტურნირებისათვის — ალბათ ისევ გორკში, ნიჟნი ტაგილში, კიროვსკში. წლები კი გადის. თუ არა ვცდებით, კახა 15 წლისა იყო ბაკურიანის დიდი ტრამპლინი რომ „მოიშალა". დიახ, ერთხელაც არ გადმომხტარა იქიდან...

აი რას ამბობს „მფრინავი ტორპედა" სახელგანთქმული **კობა წაქაძე:**

მართლაც გულდასაწყვეტია, რომ ჩვენი ტრამპლინი რაღაც „სურამის ციხედ" იქცა. აი უკვე ექვსი თუ შვიდი წელია ერთი და იგივე გვესმის: „პროექტს ვაკეთებთ", „ხარჯთაღრიცხვას ვადგენთ"... მოვლენ მშენებლები „წყალმშენიდან", ცოტას წაიმუშავებენ, ჩასვამენ რამდენიმე ხიმინჯს, მერე თოვლი მოვა, ყინვებს დაიჭერს. ამასობაში გამოირკვევა, რომ რაც გააკეთეს, თურმე იმისთვისაც არ გაულიათ ფულადი გასამრჯელო. მშენებლები იძულებული არიან შეაჩერონ სამუშაოები (ვერც გაამტყუნებ!), დაშალონ რის ვაივაგლახით დამონტაჟებული ტექნიკა და გაუჩინარდნენ „გაურკვეველი მიმართულებით". მერე ბაკურიანსა ან თბილისში უცებ დაინიშნება საგანგებო, „ოპერატიული" თათბირი სხვადასხვა დონეზე. „უფროსებს" მტრედის გუნდივით მოჰყვებიან ხელქვეითნი. იწყება ერთი ფაცი-ფუცი, მისვლა-მოსვლა და... კვლავ ჩაიფარცხება ყველაფერი. არა და, დიდი ტრამპლინის უქონლობით მხოლოდ ჩვენი მხტომელების კლასი კი არ ქვეითდება, არამედ დიდძალ ვალიუტასაც ვკარგავთ. პირადად მე ბევრჯერ შემკითხვიან ავსტრიელი, იუგოსლავიელი, ნორვეგიელი, დასავლეთგერმანელი სპეციალისტები — „მაინც როდის გექნებათ დიდი ტრამპლინი? კვლავ სიამოვნებით ჩამოვიდოდით თქვენს მზიან ბაკურიანში, ჩამოვიდოდით ტრადიციულ შეჯიბრებაზეც და მსოფლიოს თასის გათამაშების ერთ-ერთ ეტაპზეც, რომლის ჩატარების დიდ შანსს კარგავს სათხილამურო სპორტის ეს დიდებული ცენტრი".



**ეს სურათი „ლელოში" რამდენიმე წლის წინათ დაიბეჭდა. მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ „პეიზაჟი", სამწუხაროდ, დიდად არ შეცვლილა.**
**ნუგზარ ქარელის ფოტო.**

რედაქციის იმპროვიზებულ „მრგვალ მაგიდას" კიდევ ერთი სპეციალისტი შემოუერთდა — საქართველოს სპორტსახკომის ზამთრის სპორტის სახეობათა უფროსი **ფერბენქს ნავერიანი:**

— იმის მოლოდინში, თუ როდის გადაწყდება ბაკურიანის დიდი ტრამპლინის რეკონსტრუქციის დაფინანსების საკითხი, გაუთავებელი ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება-გადაკეთება გვიწევს. წლევანდელი სეზონიც მიიწურა, ისევე როგორც წინა ექვსი. საქმე კი ადგილიდან არ იძვრის, ვით კოხტა-გორა. ახლა ერთი დიდი იმედი გამოჩნდა: სპორტული ლატარია „ბაკურიანი-1998". მალე დაიწყება მისი გათამაშება და, უნდა ვიფიქროთ, საჭირო სახსრები ბოლოსდაბოლოს გაჩნდება. ეს კი მშენებლებს საშუალებას მისცემს ბაკურიანის ტრამპლინს დროულად „შეუსიონ" საჭირო ტექნიკა (მათ შორის დეფიციტური იაპონური „კატოს" სისტემის დანადგარი). და კიდევ: ალბათ მშენებლობაზე ჩვენის მხრიდანაც უნდა დაინიშნოს ტექნიკური ზედამხედველი. ასეთი აზრი სხვებმაც გამოთქვეს და ყველამ ერთხმად დაასკვნა, რომ ეს ალბათ კობა წაქაძეს უნდა დაევალოს. ვფიქრობ, რომ თავისი ავტორიტეტით, და ტრამპლინის ნიუანსების ცოდნით დიდ სარგებლობას მოუტანს საქმეს. იქნებ საგუშაგოც დავაწესოთ ტრამპლინზე, რაშიც „ლელოც" დაგვეხმარება.

— მართლაც სავალალოა, ამდენ ხანს რომ ვერ მოხერხდა ბაკურიანის ტრამპლინის შეკეთება, — სიტყვა აიღო სპორტსახკომის ზამთრის სპორტის სახეობათა მთავარმა მწვრთნელმა **ანზორ ხანაკოევმა.** — ყველგან — ლენინგრადში, სკოლეში, კრასნოიარსკში აშენებენ და არემონტებენ ტრამპლინებს. ტისოვეცში, მაგალითად, ერთ წელიწადში ტრამპლინი კი არა, მთელი სპორტული ქალაქი ააგეს თავისი რვაკორპუსიანი სასტუმროთი, ჩვენ კი... ერთი სიტყვით, ჩვენი მხტომელების ბრწყინვალე ნახტომებით სხვებს ვახარებთ, ქართველ გულშემატკივრებს ფაქტიურად არ უნახავთ კახა წაქაძისა და მისი მეგობრების „ფრენანი სათხილამურონი". არა და, რა საუკეთესო საშუალებაა ეს ამ სახეობის პროპაგანდისათვის, რამდენ პოტენციურ მხტომელს ვკარგავთ. მოწმე ვიყავით, სახალინის ტრამპლინზე გამართულ ტრადიციულ შეჯიბრებას გაზეთ „სოვეტსკი სახალინის" პრიზზე 20 ათასამდე მაყურებელი დაესწრო, საპოროს ოლიმპიადაზე ტრამპლინიდან ხტომას ერთდროულად 80 ათასი კაცი ადევნებდა თვალს უშუალოდ, ჰოლმენკოლენის თამაშებს — 170 ათასი, ხოლო ფინეთის ქალაქ ლახტის ასპარეზობას — 200 ათასი...

დასასრულ სიტყვას ვაძლევთ სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს **პაველ დემენტიევს:**

— თავის დროზე მეც არ დამიკლია ზრუნვა ბაკურიანის დიდი ტრამპლინის მშენებლობისათვის. მეამაყება, რომ სწორედ მე მომიწია მისი მშენებლობის მსვლელობის კონსულტაცია. სამწუხაროდ, ტრამპლინი აი უკვე მერამდენე წელია უმოქმედოდ დგას. ამ ორიოდე წლის წინ სპორტის ვეტერანებმა ოფიციალურად მივმართეთ თქვენი რესპუბლიკის ზემდგომ ორგანოებს მშენებლობის დაჩქარებისათვის, მაგრამ შედეგი, სამწუხაროდ, არ ჩანს. ეგებ ახლა მაინც, კახა წაქაძის ასეთი ბრწყინვალე გამოსვლების შემდეგ, დაიძრას ადგილიდან გაყინული საქმე. ნუ დავკარგავთ საბოლოოდ ბაკურიანის დიდ ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებას, იქ კიდევ უნდა გაიზარდონ ახალი წაქაძეები...

ესაუბრა **ოთარ ნოზაძე.**

---

# ქულა გლდანელის სოფელში...

**ქართული** ჭიდაობა რომ განსაკუთრებით პოპულარული ხდება, ამ ბოლო დროს ამის დასტურად ისიც კმარა, რომ უკანასკნელ ხანს მრავალი უცხოელი ჭიდაობის სპეციალისტი დაინტერესდა ამ უძველესი ეროვნული სახეობით და ქართულ ჭიდაობას შესანიშნავი შანსი გაუჩნდა საერთაშორისო ასპარეზზე გასვლისა.

ამასთან კვლავ დადგა დღის წესრიგში საჭიდაო ბაზების საკითხი.

ამ ეტაპზე ახალ-ახალი სპორტული ბაზების აშენება, ალბათ, არ მოხერხდება, მაგრამ რაც გვაქვს, მას მაინც უნდა ვუპატრონოთ და მივხედოთ.

...ერთი საჭიდაო დარბაზი დგას სოფელ გლდანის ცენტრში. მოგეხსენებათ, გლდანი ძველი საჭიდაო ტრადიციების მქონე ადგილია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ლეგენდარული ქულა გლდანელი სწორედ აქედანაა, გლდანელებს ჭიდაობის იდეალური თუ არა, ალბათ, ნორმალური პირობები მაინც უნდა ჰქონდეთ! მაგრამ, როცა სოფლის საჭიდაო დარბაზს ვეწვიეთ, სამწუხაროდ, უსიამო სურათი გადაგვეშალა თვალწინ.

ეს დარბაზი ოცდაათ წელზე მეტია ემსახურება ადგილობრივ ახალგაზრდობას — ჭიდაობის მოყვარულთ და არა მარტო მათ.

სამი ათეული წელი, ალბათ, საკმარისია, რათა ნებისმიერ შენობას რამდენჯერმე ჩაუტარდეს რემონტი, მაგრამ გლდანის დარბაზს ამის ნიშან-წყალიც არ ეტყობა.

სახურავიდან რამდენიმე ადგილას ჩამოდის წყალი და, ალბათ, მალე კედლებიც დაინგრევა. აქაიქ აცვენილია ბათქაში, მაყურებელთა დასაჯდომი სკამები მორყეულია და გვარიან შეკეთებას მოითხოვს, მთლიანად გამოცვლას თუ არა. გასახდელებში შხაპი მოშლილია, თუმცა წესრიგში რომც იყოს, წყალი მაინც არ არის. ეს საკითხი წლების მანძილზე პრობლემად დგას გლდანის საჭიდაოში. საპირფარეშოებსაც არ ეტყობა მაინცდამაინც მოვლა-პატრონობა. ყველაზე დიდ [illegible] კი, როგორც სპორტ[illegible] ბაზის დირექტორმა და მწვრთნელმა ანზორ ელიბაშვილმა გვითხრა, [illegible] უქონლობაა. თითქოს [illegible] ფულად არავის ბრალი არ არის, რადგან სოფელში მხოლოდ ახლა იწყებენ ბუნებრივი გაზის შეყვანას (ნახევარი სოფელი უკვე გაზიფიცირებულია და დარბაზის გათბობას, ალბათ, მალე დააადგება საშველი), მაგრამ რა ქნას მანამდე იმ სამოცამდე ახალგაზრდამ ზამთრობით ნორმალურ ვარჯიშსა და შეჯიბრებებს რომ მოკლებულია?

გლდანის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ თენგიზ გიორგობიანმა გვითხრა, რომ ამ ხუთიოდე წლის წინ შეფმა ორგანიზაციამ „კურორტმშენის" სამმართველომ სარემონტო სამუშაოები ჩაატარა აქ, მაგრამ მას შემდეგ დარბაზს მზრუნველი ხელი არ შეხებია.

გლდანში ტრადიციად იქცა შაბათ-კვირაობით მეზობელი სოფლებიდან (წილკანი, გალავანი, ლამისყანა) ფალავნების სტუმრობა და ქართული ჭიდაობის გამართვა. შარშან აქ პირველად გაიმართა 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული სპორტის დიდი ქომაგის ნოდარ ჯანგირაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი. დარბაზმა მცხეთის რაიონის მოსწავლეთა პირველობასაც უმასპინძლა და ავად თუ კარგად, მაინც ასრულებს თავის დანიშნულებას. აი ცოტა მეტი ყურადღება რომ გამოვიჩინოთ, ცხადია, უფრო მეტი და საინტერესო შეჯიბრებების გამართვა შეიძლება აქ.

სხვათა შორის, სწორედ ამ დარბაზში აიდგეს ფეხი ცნობილმა მოჭიდავეებმა — სპორტის ოსტატებმა გია ძიგურაშვილმა, მამუკა მუხიაშვილმა, დათო სიმონიშვილმა, და სხვებმა. ახლახანს, გლდანელმა ძიუდოისტმა თამაზ ცოფურიშვილმა ზედიზედ ორი დიდი გამარჯვება მოიპოვა — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში და ანზორ კიკნაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე.

ერთი სიტყვით, გლდანის საჭიდაო დარბაზის არსებობა, მასზე დახარჯული და, ალბათ, შემდგომში გამოსაყოფი თანხა და ზრუნვა ყოველმხრივად გამართლებულად მიგვაჩნია.

ანზორ ელიბაშვილი ერთ მტკივნეულ საკითხსაც შეეხო. თბილისში ყოველწლიურად ტარდება საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში. ჭიდაობის ტრადიციების მქონე თითქმის ყველა სოფელი და რაიონი ღებულობს მონაწილეობას ამ ჩემპიონატში. გლდანელი ახალგაზრდები ხან მცხეთის რაიონის სახელით გამოდიან, ხან გლდანის რაიონისა! ეგებ უმჯობესი იყოს, ბიჭები თავისივე სოფლის სახელით მონაწილეობდნენ ამ ტურნირებში.

უდავოდ ვეთანხმებით პატივცემულ ანზორს. ქულა გლდანელის მშობლიური სოფელი მართლაც რომ ღირსია, დამოუკიდებლად მონაწილეობდეს რესპუბლიკის ჩემპიონატში.

**ლევან ჯავახიშვილი.**

**რედაქციის მინაწერი:** სოფელ გლდანის საჭიდაო დარბაზი სპორტსაზოგადოება „შევარდენის" საქალაქო საბჭოს ეკუთვნის. მისმა თავმჯდომარემ ნანა ბალაშვილმა გვაცნობა, რომ არსებობს დარბაზის კაპიტალური რემონტის პროექტი, უკვე შედგენილია ხარჯთაღრიცხვა და საზაფხულო სპორტული სეზონის დამთავრების შემდეგ დაიწყება სარემონტო სამუშაოები. ერთობ გვიან, მაგრამ ეტყობა მაინც დაადგება საშველი დარბაზის აღდგენას.

პროექტით გათვალისწინებულია წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სისტემების შეცვლა, დამონტაჟდება ვენტილაციის წერტილებიც, გეგმაშია სათავსოების მიშენება, საუნის აშენება, მაგიდის ჩოგბურთისა და აერობიკის ფასიანი ჯგუფების გახსნა. ასე რომ, სოფელ გლდანის ძველი საჭიდაო დარბაზი ახალ ცხოვრებას დაიწყებს და სოფლის ახალგაზრდობა ქალაქში აღარ წავა სავარჯიშოდ. კარგი დარბაზი კი, ალბათ, კვალიფიციურ მწვრთნელებსაც დააინტერესებს...

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ვენდოთ ნანა ბალაშვილის სიტყვას და თავი იმით დავიიმედოთ, რომ მეორედ სტუმრობისას დარბაზი „წელში გამართული" შემოგვეგებება. ერთსაც დავუმატებთ: როგორც გვითხრეს, 21-22 აპრილს სოფელ გლდანის საჭიდაო დარბაზში გაიმართება ნოდარ ჯანგირაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. ამით აქ გაიხსნება ახალი საზაფხულო სპორტული სეზონი — სპორტსმენებს და მაყურებლებს კიდევ ერთხელ შეახსენებს თავს ძველი კეთილი დარბაზი.

შეჯიბრება პირად პირველობაში გაიმართება და მასში მონაწილეობა შეუძლია ყველა მსურველს!

---

# სპორტსმენები ელიან... სპონსორს

**გლდანის** ოლიმპიური რეზერვის სასწავლებელს (ყოფილი სპორტული ინტერნატი), ბევრი ნიჭიერი სპორტსმენისათვის დაულოცია გზა.

მარტო წლეულს „ოლიმპიელებმა" რამდენიმე თვალსაჩინო გამარჯვება იზეიმეს..

თბილისის საერთაშორისო ტურნირზე თავისუფალ ჭიდაობაში დავით ბელთაძემ პირველი ადგილი მოიპოვა, ზაზა თურმანიძემ — მეორე, მამუკა რაზმაძემ და ზაზა ტყეშელაშვილმა — მესამე. კიევში გამართულ ძიუდოისტთა სსრ კავშირის ჩემპიონატზე გურამ მოდებაძემ და ზაზა დაბრუნდაშვილმა ოქროს მედლები მოიპოვეს, ხოლო ბათუ ჯიქური მესამე იყო. მოგვიანებით ზ. დაბრუნდაშვილი მსოფლიო ჩემპიონი გახდა ახალგაზრდა ძიუდოისტთა შორის.

საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდებში ოლიმპიური რეზერვის სასწავლებლის აღზრდილი 31 მოთამაშე გამოდის.

სასწავლებელში დღეისათვის (ფილიალების ჩათვლით) 11 სპორტის სახეობას მისდევენ. მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ არსებული ბაზა აშკარად ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს. მართალია, უკვე მესამე წელიწადია, მიმდინარეობს სასწავლებლის შენობა-ნაგებობათა რემონტი, მაგრამ მის დასასრულს არ უჩანს პირი. ისე კი, რაც შეკეთდა... ისიც უხარისხოა.

ამ საკითხს „ლელომ" ბარე ათამდე კრიტიკული წერილი უძღვნა. არადა, სასწავლებელი უნდა იქცეს ეროვნული სპორტული რეზერვის ერთ-ერთ ცენტრად, დიდი სპორტული გზის დამლოცველად. საქართველოს სხვადასხვა სოფლები და რაიონები პირველ ყოვლისა აქ უნდა აგზავნიდნენ ნიჭიერ ახალგაზრდებს. სასწავლებლის დებულებაც ხომ სწორედ ამას ითვალისწინებს. სინამდვილეში კი რა გამოდის? თავის გასამართლებლად მავანთ ისიც მოჰყავთ, რომ სასწავლებელში არ არის შექმნილი შესაბამისი პირობები. ძნელია არ დაეთანხმო ამას. კიევში, მაგალითად, ანალოგიურ სასწავლებელს ფეხბურთის 3 მოედანი აქვს, ჩვენსას კი... არცერთი. პარალელების გავლება შორს წაგვიყვანდა.

ყველაზე საკვირველი კი ის არის, რომ ამ ტიპის სასწავლებელთა შორის სწორედ ჩვენია ყველაზე ადრე შექმნილი და არა მარტო კავშირში, არამედ წარმოიდგინეთ, ევროპაშიც. დღეს კი მარტო გდრ-ში ამ სასწავლებლის ტიპის 23 (!) სკოლა არსებობს. მაღალი კლასის სპორტსმენები უმთავრესად სწორედ ამ სკოლებიდან მოდიან.

სამწუხაროდ, აღნიშნული სასწავლებელი ჯერ კიდევ ზემოდან, ასე ვთქვათ, „ცენტრიდან" პროგრამდება. დიახ, მოსკოვში წყვეტენ, თუ როგორი უნდა იყოს... გლდანის სასწავლებელში სწავლების პროგრამა.

ვფიქრობთ, ჩვენმა სასწავლებელმა თვითონ უნდა შექმნას საკუთარი სასწავლო-სპორტული პროგრამა ჩვენივე კომპეტენტური სპეციალისტების მეშვეობით.

სავსებით ვიზიარებთ მეცნიერმუშაკის ავთანდილ ჩუთლაშვილის აზრს („ლელო", 1990 წლის 6 თებერვალი), რომ სასწავლებელში გაიხსნას ეროვნული სპორტის სახეობების სექტორი.

ზემოთ გდრ-ში არსებული ამ ტიპის სკოლები ვახსენეთ. ასეთივე სკოლები არსებობს სხვა ქვეყნებშიც. დროა ჩვენმა სასწავლებელმა მჭიდრო კონტაქტები დაამყაროს მათთან. დღეს ხომ უკვე შესაძლებელია გუნდების უვალუტო გაცვლა. ეს კი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ნორჩი სპორტსმენების დაოსტატებას.

ოლიმპიური რეზერვის სასწავლებელი საქართველოს სპორტსახკომის შემადგენლობაში შედის 1990 წლის დასაწყისიდან (იგი მანამდე რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ეკუთვნოდა). სპორტსახკომს, მოგეხსენებათ, ისედაც ბევრი ხარჯები აქვს. იგი, რა თქმა უნდა, სასწავლებელს ყურადღებას არ მოაკლებს, მაგრამ თუ გვინდა „ოლიმპიური სასწავლებელი" მართლაც ოლიმპიელთა სამჭედლოდ გადაიქცეს, მას, უპირველეს ყოვლისა, სჭირდება მყარი ფინანსური სიმტკიცე. ამ მხრივ მართლაც დიდი საშვილიშვილო საქმე იქნება მისთვის სპონსორობის გაწევა. სპორტსმენები კი, ცხადია, თავიანთ სასწავლებელთან ერთად დაიცავენ გულისხმიერი სპონსორის ღირსებას.

მაშ ასე: სპორტსმენები ელიან სპონსორს!

**გაბრიელ ბარჯაძე.**

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

### IV ტურის მატჩი

„სამგურალი“ (წყალტუბო) — „კოლხეთი-1918“ (ფოთი) 1:1 (1:0)

წყალტუბო. ცენტრალური სტადიონი. 17 აპრილი.

„სამგურალი“: მიქაძე, მუშკუდიანი, წიქარიშვილი, იონანიძე (ხუნდაძე), ვ. ფეხტვენიძე, იობიძე, ცნობილაძე (ბერაძე), კერესელიძე, ლ. ფეხტვენიძე, ჩხაბერიძე, ხარაბაძე.

„კოლხეთი-1918“: გვახალია, კურგენიანი (ქყონია), ქაჯაია, გიორგაძე, გიგატაძე, შამათავა, თოფურია (თიბილაშვილი), მახარაძე, ჯულელი, თვარაძე, ავრამიდისი (ბაჯალაძე).

მსაჯები: ე. სილაგავა, დ. მენთეშაშვილი, ტ. ნიშნიანიძე (თბილისი).

გოლები — ხარაბაძე, ჯულელი.
გააფრთხილეს: ვ. ფეხტვენიძე, ჩხაბერიძე, თვარაძე.

## I ჯგუფი

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები I ჯგუფის გუნდებს შორის.

„ჩიხურა“ (საჩხერე) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 2:0, „ქართლი“ (გორის რ-ნი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 0:1, „იმერეთი“ (ხონი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 1:0, „შუქურა“ (ქობულეთი) — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) 2:1, „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „არმაზი“ (მცხეთა) 1:1, „კახეთი“ (თელავი“) — „სიონი“ (ბოლნისი) 1:2, „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 1:3, „არაგვი“ (დუშეთი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:1, „დინამო“ (გაგრა) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 1:1, „სულორი“ (ვანი) — „სქური“ (წალენჯიხა) 3:0.

## II ჯგუფი

დაიწყო ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატი II ჯგუფის გუნდებს შორის.

### აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

„ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 2:0, „გარისი“ (თეთრიწყარო) — „განთიადი“ (დმანისი) 0:1, „რუსთავი“ (რუსთავი) — „კრწანისი“-ზოოვეტერინარული ინსტიტუტი (თბილისი) 0:1, „შირაქი“ (წითელწყარო) — სსი (თბილისი) 0:4, „თრიალეთი“ (წალკა)— „განთიადი“ (ჰაბუკიანი) 1:2, „კოლმეურნე“ (მარნეული) — „მრეტები“ (თბილისი) 5:3, უნივერსიტეტი (თბილისი) — „ნაფარეული“ (ნაფარეული) 5:2, „ქიზიყი“ (სიღნაღი) — „თუშეთი“ (ქვემო ალვანი) 2:0, „მიონი“ (თბილისი) — ოლიმპიური მომზადების სასწავლებელი (თბილისი) 3:0.

### ცენტრალური ქვეჯგუფი

„მესხეთი“ (ახალციხე) — „იორი“ (თიანეთი) 3:1, „თორი“ (ბორჯომი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 1:3, „ჩხერიმელა“ (ხარაგაული) — „მგლები“ (თბილისი) 0:4, „ვარძია“ (ასპინძა) — „რაჭა“ (ამბროლაური) 1:0, „ოკრიბა“ (ტყიბული) — „ცხრაჯვარი“ (ტყიბული) 0:0, ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) — „მამისონი“ (ონი) 0:0, „აბული“ (ახალქალაქი) — „მუხრანი“ (მუხრანი) 1:1, „იბერია“ (ქარელი) — „ფარვანა“ (ბოგდანოვკა) 1:1, „ზარზმა“ (ადიგენი) — „განთიადი“ (კასპი) 0:0.

### დასავლეთი ჯგუფი

„ბახმარო“ (ჩოხატაური) — „მშენებელი“ (ჭიათურა) 3:1, „სუბტროპიკი (სოხუმი) — „სამტრედია“ (სამტრედია-2) 1:0, „ჩიბათი“-„გურია“-2 (ლანჩხუთი) — უნივერსიტეტი“ (სოხუმი) 2:0, „ჩელე“ (დარჩელი) — „აისი“ (ქუთაისი) 4:1, „მარტვილი“ (ჭყონდიდი) — „მამული“ (დიდიჭყონი) 2:0, „ეგრისი“ (სენაკი) — „იმედი“ (ლაითური) 3:1, „მენავთობე“ (ბათუმი) — „ზანა“ (აბაშა) 0:0, „ბეთლემი“ (ქედა) — „ფაზისი“-კოლხეთი-2 (ფოთი) 0:0, „ლაზიკა“ (გულრიფში) — „ქუთაისი-2“ (ქუთაისი) 1:1, „შევარდენი“ (ზუგდიდი)—„კოლხეთი“ (ხობი-2) 1:2.

## მსაჯთა რეესტრი

### უმაღლესი ჯგუფი, 21 აპრილი

„ქუთაისი“ (ქუთაისი) — „სამგურალი“ (წყალტუბო). მ. ჰელიძე, უ. ფურცელაძე (თბილისი), ჯ. წერეთელი (რუსთავი).

„ოზურგეთი“ (ოზურგეთი) — „ცხუმი“ (სოხუმი). ა. კოკაია, გ. სეფიაშვილი, ვ. ეჯიბია (თბილისი).

„მზიური“ (გალი) — „ლიახვი“ (ცხინვალი). მ. მიმინოშვილი, რ. ტალიაშვილი (თბილისი), ს. კახიანი (სამტრედია).

„ივერია“ (ხაშური) — „დილა“ (გორი). ე. სილაგავა, მ. მალაღურაძე (თბილისი), ე. გვარამაძე (რუსთავი). (მატჩი გორში გაიმართება).

„კოლხეთი“ (ფოთი) — „გორდა“ (რუსთავი). ა. მილჩენკო, ო. გაგუა, ვ. ტოროსიანი (სოხუმი).

### 22 აპრილი

„სანავარდო“ (სამტრედია) — „კოლხეთი“ (ხობი). მ. კობიაშვილი, ვ. ეჯიბია, უ. ფურცელაძე (თბილისი).

„გურია“ (ლანჩხუთი) — „შევარდენი“ (თბილისი). ჯ. წერეთელი, მ. ფოლადაშვილი (რუსთავი), კ. წულუკიძე (ფოთი).

„ბათუმი“ (ბათუმი) — „ოდიში“ (ზუგდიდი). გ. სეფიაშვილი, მ. მალაღურაძე, ო. გუნთაძე (თბილისი).

„იბერია“ (თბილისი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე). ს. კვარაცხელია (ზუგდიდი), მ. მირცხულავა (ლანჩხუთი, ა. შილაკაძე (თბილისი).

### I ჯგუფი, 22 აპრილი.

„სქური“ (წალენჯიხა) — „ჩიხურა“ (საჩხერე). რ. ტალიაშვილი, (თბილისი), ვ. ჯიქია (ქობულეთი), ი. კვირკველია (ჩხოროწყუ).

„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „სულორი“ (ვანი). ვ. ხანიაშვილი, ზ. ლაცაბიძე, ე. სილაგავა (თბილისი).

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „დინამო“ (გაგრა). ზ. ჯინჭარაძე (ოზურგეთი), მ. გვაზავა (აბაშა), გ. ბესთაევი (გორი).

„მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „არაგვი“ (დუშეთი). ე. გვარამაძე, ა. დათიაშვილი, გ. შავგულიძე (რუსთავი).

„სიონი“ (ბოლნისი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა). თ. ლორთქიფანიძე (თბილისი), ა. ქიქიაშვილი (მცხეთა), დ. რეხვიაშვილი (გარდაბანი).

„არმაზი“ (მცხეთა) — „კახეთი“ (თელავი). ვ. ხეჩოიანი, მ. ჰელიძე, თ. კურტანიძე (თბილისი).

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი). — „ბახტრიონი“ (ახმეტა). ვ. ტოროსიანი, ო. გაგუა, თ. სამხარაძე (სოხუმი).

„დურუჯი“ (ყვარელი) — „შუქურა“ (ქობულეთი). ნ. კილაძე, გ. ხეჩუაშვილი, დ. მენთეშაშვილი (თბილისი).

„ალაზანი“ (გურჯაანი) — „იმერეთი“ (ხონი). გ. მიქაუტაძე, პ. დოგრაშვილი, ს. მაჩიტაძე (ქუთაისი).

„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „ქართლი“ (გორის რ-ნი). ს. კახიანი, თ. კვანტალიანი, მ. ჯულაყიძე (სამტრედია).

## სტატისტიკოსის ბლოკნოტში

● **რესპუბლიკის** საფეხბურთო ჩემპიონატის (უმაღლესი ჯგუფი) IV ტურში გატანილია 27 ბურთი. აქედან მასპინძლებმა გაიტანეს 16, გამარჯვებით დამთავრდა 3 შეხვედრა, სტუმრებმა ამ ტურში ოთხჯერ მიაღწიეს წარმატებას, ხოლო ორ შეხვედრაში დაფიქსირდა ფრე.

● **ბანვლილ** ტურში გაფრთხილება მიიღო შვიდმა ფეხბურთელმა. სულ კი ოთხ ტურში მსაჯებს ყვითელი ბარათის ჩვენება 21-ჯერ მოუხდათ.

● **გოლი** არა აქვთ გაშვებული ლანჩხუთის „გურიას“ და ბათუმის „ბათუმს“.

● **ყველაზე** მეტი ბურთი (10-10) გატანილი აქვთ ლანჩხუთის „გურიას“ და თბილისის „იბერიას“, ყველაზე მეტი ბურთი გაუშვეს ცხინვალის „ლიახვმა“ (16) და გალის „მზიურმა“ (13).

● **ქულა** არა აქვთ დაკარგული ჩემპიონატის მონაწილე ორ გუნდს — „გურიას“ და „ქუთაისს“.

● **ბანვლილ** ტურში ყველაზე დიდი ანგარიში დაფიქსირდა გორის „დილის“ და გალის „მზიურის“ მატჩში. ეს შეხვედრა მასპინძლებმა მოიგეს — 5:1.

● **ოთხი** ტურის მერე არც ერთი ქულა არა აქვთ ოჩამჩირის „ამირანს“ და ცხინვალის „ლიახვს“.

## UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

**ბანვლილ** სამშაბათს და ოთხშაბათს გაიმართა ფეხბურთში ევროპის საკლუბო თასების გათამაშებათა ნახევარფინალური შეხვედრები, გამოვლინდნენ გუნდები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ გადამწყვეტ ფინალურ შეხვედრებში. აუცილებელი აღნიშვნის ღირსია იტალიის კლუბების წარმატება, ისინი სამივე თასის ფინალში გავიდნენ, უეფა-ს თასის ფინალური წყვილი კი საერთოდ იტალიურია და ეს პრიზი ყველა შემთხვევაში აპენინის ნახევარკუნძულზე დარჩება.

**ჩემპიონთა თასი.** პორტუგალიის „ბენფიკამ“ თავის მინდორზე ანგარიშით 1:0 დაამარცხა საფრანგეთის „მარსელი“ და ფინალში გავიდა. პორტუგალიელებს ეს საპატიო უფლება მოუტანა ორი კვირის წინ მეტოქის მინდორზე გატანილმა ბურთმა (მაშინ „მარსელმა“ გაიმარჯვა ანგარიშით 2:1).

ასევე, სასპასუხო მატჩში მიუნხენის მინდორზე გატანილმა ბურთმა ფინალის საგზური მოუტანა იტალიის „მილანს“, თუმცა მიუნხენის „ბაიერნისა“ და „მილანის“ შეხვედრაში დაინიშნა დამატებითი დრო, ვინაიდან თამაში დამთავრდა „ბაიერნის“ გამარჯვებით — 1:0. დამატებით დროში იტალიელებმა ანგარიში გაათანაბრეს, შემდეგ „ბაიერნის“ და შოტლანდიის ნაკრების მოთამაშის მაკინლის მიერ გატანილმა ბურთმა მასპინძლებს მხოლოდ მორალური კმაყოფილება მოუტანა — 2:1.

ამრიგად, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან „ბენფიკა“ (ლისაბონი) და „მილანი“ (იტალია). ეს მატჩი 23 მაისს შედგება ავსტრიის დედაქალაქ ვენაში.

**თასების** მფლობელთა თასზე იტალიის „სამპდორიამ“ თავის მინდორზე ანგარიშით 2:0 დაამარცხა საფრანგეთის „მონაკო“ და ვინაიდან პირველი შეხვედრა ფრედ დამთავრდა (2:2), იტალიელმა ფეხბურთელებმა საკმაოდ იოლად მიაღწიეს ფინალს.

ბელგიის „ანდერლეხტმა“, ისევე როგორც პირველ შეხვედრაში, მეტოქის მინდორზე დაამარცხა ბუქარესტის „დინამო“ და ორი შეხვედრის ჯამში საერთო ანგარიშით 2:0 გავიდა ფინალში.

იტალიის „სამპდორია“ და ბელგიის „ანდერლეხტი“ თასების მფლობელთა თასის ფინალში 9 მაისს შეხვდებიან ერთმანეთს შვეციის ქალაქ გეტებორგში.

**უეფა-ს** თასის ფინალი, როგორც წესი, ორი შეხვედრიდან შედგება. ამჯერად ორივე მატჩი გაიმართება იტალიაში, ვინაიდან ფინალში გავიდნენ „ფიორენტინა“ და „იუვენტუსი“.

„იუვენტუსმა“ პირველ შეხვედრაში ანგარიშით 3:2 დაამარცხა დასავლეთ გერმანიის „კიოლნი“, საპასუხო მატჩში აშკარად გამოხატულ დაცვით ვარიანტს მიმართა და ფრედ დაამთავრა თამაში — — 0:0.

ასევე არ გახსნილა ანგარიში პერუჯაში, სადაც „ფიორენტინამ“ მიიღო ბრემენის „ვერდერი“ (გფრ). ფინალში იტალიელები იმ ბურთის წყალობით მოხვდნენ, რომელიც მათ პირველ შეხვედრაში გაიტანეს (1:1).

უეფა-ს თასის ფინალები გაიმართება 2 მაისს ტურინში და 16 მაისს ფლორენციაში.

## უეფა-ს სესიაზე

**მალტის** დედაქალაქ ლა-ვალეტაში შედგა ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის სესია, რომელზეც აირჩიეს ახალი პრეზიდენტი.

არჩევნების წინ გაიმართა თათბირი, სადაც სიტყვით გამოვიდა უეფა-ს ყოფილი პრეზიდენტი ფრანგი ჟაკ-ჟორჟი. მან დაუფარავად და უაპელაციოდ განაცხადა: „ინგლისის კლუბები, რომ ახლა ევროპული საკლუბო თასების გათამაშებაში დავუშვათ, ეს არსებითად თვითმკვლელობას უდრის“.

შემდეგ მან დაუმატა: „ინგლისის კლუბებმა ბევრი რამ გააკეთეს საიმისოდ, რომ აღადგინონ თავიანთი რეპუტაცია, ინგლისის ფედერაციამაც დიდი წვლილი შეიტანა ამ საქმეში, მაგრამ სანამ დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება არ მოგვცემს იმის სრულ გარანტიას, რომ 1985 წელს ბრიუსელში მომხდარი ტრაგიკული ამბები მომავალში აღარ გამეორდება, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ინგლისის გუნდების დაშვება თასების გათამაშებაში. ყოვლად დაუშვებელია ინგლისელმა ხულიგნებმა თავისუფლად იმოგზაურონ მთელს კონტინენტზე თავიანთი გუნდების თამაშის საყურებლად“.

ცნობილია, რომ ინგლისის კლუბებს ევროპულ თასებში მონაწილეობა აუკრძალეს იმ ვანდალური ხოცვა-ჟლეტის შემდეგ, რომელიც აქაურმა გულშემატკივრებმა გამართეს ბრიუსელის სტადიონზე, რომლის შედეგადაც დაიღუპა 39 კაცი.

უეფა-ს სესია აგრეთვე განიხილავს იმის შესაძლებლობას, რომ ისრაელის გუნდებმა მონაწილეობა მიიღონ ევროპის საკლუბო ტურნირებში, გარდა ამისა, მიიღებს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მიერ შემუშავებული სასჯელების ერთიან სისტემას.

ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის პრეზიდენტის პოსტზე წამოყენებული იყო ორი კანდიდატი: შვედი ლენარტ იუჰანსონი და შვეიცარიელი ფრედი რუმო (უეფა აერთიანებს 36 ქვეყანას, რომელთაგან წარმოდგენილია 268 ათასი კლუბი, 563 ათასი გუნდი, 420 ათასი მსაჯი და 19,5 მილიონი ფეხბურთელი).

მოხდა არჩევნები. უეფა-ს ახალ პრეზიდენტად აირჩიეს 59 წლის შვედი ლენარტ იუჰანსონი, რომელიც შვეციის ფეხბურთის ფედერაციას ხელმძღვანელობდა 1983 წლიდან. ოდესღაც იგი ფეხბურთსაც თამაშობდა, მაგრამ ამ სარბიელზე წარმატებას ვერ მიაღწია, V დივიზიონს ვერ ასცდა, მაგრამ სამაგიეროდ, თავი გამოიჩინა საორგანიზაციო სპორტულ მუშაობაში და ბიზნესში. მისი პირველი საფეხური სპორტულ ხელმძღვანელობაში იყო ის, რომ სტოკჰოლმის ცნობილი კლუბის აიკ-ის ხელმძღვანელი გახდა.

## ამიერიდან — „კრწანისი“

ამ დღეებში შედგა საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის საფეხბურთო კლუბის შექმნასთან დაკავშირებული დამფუძნებელი კრება. გადაწყდა ზოოვეტერინარული ინსტიტუტის ფეხბურთელთა გუნდს, მის ადგილმდებარეობისაგან გამომდინარე, ეწოდოს „კრწანისი“. იგი ამიერიდან მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკური პირველობის მეორე ჯგუფში.

საფეხბურთო კლუბთან ჩამოყალიბდა ბავშვთა ჯგუფები, რომლებიც უმთავრესად მოემსახურებიან ახლომდებარე უბნების ნორჩ ფეხბურთელებს.

„კრწანისი“ სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადავიდა. გუნდის უფროსი მწვრთნელია საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ე. გუგუშვილი, კლუბის პრეზიდენტად აირჩიეს ლანჩხუთის „გურიის“ ყოფილი მოთამაშე, ინსტიტუტის საექსპერიმენტო მეურნეობის დირექტორი თ. მოსაშვილი.

## ფეხბურთის მსხვერპლთა ხსოვნისათვის

ინგლისის ცნობილმა საფეხბურთო კლუბმა „ლივერპულმა“ ადრევე გამოაცხადა, რომ 15 აპრილს შეფილდის სტადიონზე მოაწყობდა საფეხბურთო მატჩის დროს მომხდარი კატასტროფის მსხვერპლთა ხსოვნის დღეს. და აი, 15 საათსა და 06 წუთზე, ზუსტად მაშინ, როცა უბედურება მოხდა, მთელმა ქალაქმა წუთიერი დუმილით პატივი სცა სტადიონზე დაღუპული 95 გულშემატკივრის ხსოვნას. შეგახსენებთ, რომ კატასტროფა მოხდა შეფილდის „ჰილსბოროს“ სტადიონზე, როცა მიმდინარეობდა ინგლისის თასის ნახევარფინალური მატჩი „ლივერპულსა“ და „ნოტინგემ ფორესტს“ შორის. „ლივერპულის“ სტადიონზე ენფილდროუდის პარკში 15 აპრილს კლუბის 30 ათასი გულშემატკივარი შეიკრიბა.

„ლივერპულის“ ცნობილი მწვრთნელის ბილ შენკლის ქვრივმა ნესი შენკლიმ საფარველი ჩამოხსნა გრანიტის სამახსოვრო დაფას, სადაც ამოიკვეთება კატასტროფის მსხვერპლთა გვარები. სამახსოვრო კედლის წინ აინთება მარადიული ცეცხლი.

„ლივერპულის“ სტადიონზე დაღუპულთა ნათესავებისა და ახლობლების ფონდში გადაირიცხა 11 მილიონზე მეტი გირვანქა სტერლინგი.

## ჯარიმა დარღვევებისათვის

მას შემდეგ, რაც საბჭოთა ფეხბურთი პროფესიულ ლიანდაგებზე გადავიდა, ოსტატი ფეხბურთელები კონტრაქტით არიან დაკავშირებული თავიანთ კლუბებთან, ოფიციალური კონტრაქტი კი მათ ბევრს ავალებს.

ცნობილია, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია და ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირი მკაცრ სანქციებს მიმართავენ წესრიგის დამრღვევი კლუბებისა და ფეხბურთელების მიმართ. სულ ახლახანს, მაგალითად, დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ 20 ათასი შვეიცარული ფრანკით დააჯარიმეს იმის გამო, რომ ვილაც მთვრალი გულშემატკივარი თამაშის დროს გადმოიჭრა სარბენ ბილიკზე და გვერდითი მსაჯის შეურაცხყოფას ლამობდა. უფრო ადრე სხვა საბჭოთა კლუბებსაც მოუხდათ ჯარიმის გადახდა სხვადასხვა დარღვევისთვის.

ახლა ფეხბურთის საკავშირო ფედერაცია აპირებს საბჭოთა ფეხბურთში შემოიღოს ფულადი საჯარიმო სანქციები. ფედერაციის სადისციპლინო კომისიამ უკვე შეიმუშავა შესაბამისი პროექტი, რომელიც უნდა დაამტკიცოს ფედერაციის აღმასკომმა.

წესრიგის დარღვევისთვის მოთამაშეებს დააჯარიმებენ სხვადასხვა თანხით. თუ წესრიგს დაარღვევენ, ოსტატთა გუნდის მწვრთნელები, ექიმი, ადმინისტრატორი, გუნდის უფროსი და ა. შ., პროექტის შესაბამისად კლუბმა საკავშირო ფედერაციის მისამართზე უნდა გადარიცხოს 500-დან 1000 მანეთამდე, რაც შეეხება უწესრიგობებს, თუ ისინი სტადიონზე მოხდა, სანქცია ითვალისწინებს ჯარიმას 5.000 მანეთამდე.

ცალკეული ფეხბურთელები, რომლებიც წესრიგს დაარღვევენ, დაჯარიმდებიან 90-დან 1000 მანეთამდე. აქ ნაგულისხმევია მოთამაშეთა გაფრთხილება, მინდვრიდან გაძევება და სხვა. ფეხბურთელს, მაგალითად, რომელსაც მესამეჯერ გააფრთხილებენ უმაღლეს ლიგის მატჩში, დააჯარიმებენ 100 მანეთით და ყოველი შემდგომი გაფრთხილებისთვის — კიდევ ამდენით. გარდა ამისა, მას არ დაუშვებენ მორიგი ტურის მატჩში სათამაშოდ.

ერთი სიტყვით, დაარღვევ წესრიგს — საკუთარი ჯიბიდან გადაიხდი ფულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „ნარდი — ჩემი სიყვარული“

**საქართველოში** ნარდი ერთ-ერთი პოპულარული თამაშია. მას ყველა კუთხეში დიდი სიამოვნებით თამაშობენ. მოგეხსენებათ, ნარდი ჩვენში დღემდე ოფიციალურად არ იყო აღიარებული, როგორც სპორტის სახეობა. თეატრის მოღვაწეთა კავშირთან არსებულმა კომერციულმა ფირმა „ვესტამ“ მეტად დიდი მისია იკისრა. და აი, ტარდება კიდეც საქართველოს პირველი ჩემპიონატი ნარდის სახეობებში (ჩვენთან ძირითადად ნარდის ორი სახეობაა განვითარებული — გრძელი და მოკლე).

მონაწილეთა წილისყრის წინ, ხუთშაბათს, თბილისში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში შეკრებილმა მაყურებელმა ნახა საინტერესო „გალაკონცერტი! „ნარდი — ჩემი სიყვარული“. საღამოს უძღვებოდა კოტე მახარაძე.

კონცერტის დამთავრების შემდეგ მოეწყო მონაწილეთა წილისყრა. ჩემპიონობის მსურველი საკმაოდ ბევრია. სხვათა შორის, ჩემპიონობისათვის იბრძვიან, აგრეთვე, ბორის წიფურია, კოტე მახარაძე და ნუგზარ ჯუღელი, რომელმაც ჩვენთან საუბარში გამოთქვა სურვილი: „...ბედნიერი ვიქნები, თუ ფინალში ჩემს მასწავლებელს კოტე მახარაძეს შევხვდები“.

აღსანიშნავია, რომ შეჯიბრებაში მამაკაცებთან ერთად მონაწილეობენ მანდილოსნებიც.

გუშინ გაიმართა ჩემპიონატის პირველი შეხვედრები კუს ტბაზე და ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში.

პირველობა 26 აპრილამდე გასტანს.

• • •

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** **ჩემპიონატის ფრაგმენტები.**

**ა. კოტორაშვილის ფოტოები.**



# უნივერსიადამ სტარტი აიღო

**თბილისსა** და თელავში სტარტი აიღო „უნივერსიადა-90“-ის პროგრამით გათვალისწინებულმა შეჯიბრებებმა, რომელიც სპორტის 26 სახეობაში გაიმართება და ივნისის ბოლომდე გასტანს.

თელავში ასპარეზობაში ჩაებნენ სტუდენტ ბადმინტონისტთა გუნდები, თბილისში კი დაიწყო მოჭადრაკეთა პაექრობა.

წარმატებით აიღეს სტარტი თბილისის სამედიცინო, ქუთაისის პოლიტექნიკური, გორის ეკონომიკური, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტებისა და თბილისის კონსერვატორიის მოჭადრაკეებმა, რომლებმაც პირველ ტურში დამაჯერებელი გამარჯვებები მოიპოვეს.

**ს. ბაჩეჩილაძე.**

• • •

**ს უ რ ა თ ზ ე: მიმდინარეობს „უნივერსიადა-90“-ის ტურნირი ჭადრაკში.**

**ა. კოტორაშვილის ფოტო.**

# მთელი მსოფლიო ტელევიზორებთან

**ამ** მატჩს კალათბურთის მოყვარულები დიდი ინტერესით ელოდნენ. ესპანეთის ქალაქ სარაგოსადან ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალის პირდაპირ ტელეტრანსლაციას 45 ქვეყანა აწარმოებდა. ავსტრიის, აზიისა და აფრიკის კიდევ 15 ქვეყანაში ეს შეხვედრა ვიდეოჩანაწერით გადაიცა... ესპანეთის „ბარსელონასა“ და იუგოსლავიის „იუგოპლასტიკის“ გადამწყვეტ მატჩზე აკრედიტებულ ჟურნალისტთა რაოდენობამ ათასს გადააჭარბა. როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ ასეთ საყოველთაო ინტერესს ნბა-ს ლიგის ნებისმიერი მატჩი ინატრებდა.

და მართლაც, ბრძოლა ევროპის საკლუბო კალათბურთის ყველაზე პოპულარული პრიზისათვის უაღრესად დაძაბული გამოდგა. წინასწარ ვიტყვით, რომ ჯილდო სპლიტის კალათბურთელებმა მოიგეს. იუგოსლაველთა უპირატესობა ამჯერად მხოლოდ 5 ქულით გამოიხატა, მაგრამ გამარჯვება უდაოდ ღირსეულმა მოიპოვა 72:67 (40:36).

მატჩის დაწყებამდე სპეციალისტთა პროგნოზი მარტივი იყო: გამარჯვება, ამბობდნენ ისინი, დარჩება იმას, ვინც ორთავე ფარს მოიგებსო. ბარსელონას ამ დარგის კარგი სპეციალისტი ჰყავდა ოდი ნორისის (სიმაღლე — 206 სმ) სახით, რომელიც ადრე ნბა-ს ლიგის გუნდის „პორტლენდის“ ღირსებას იცავდა. იუგოსლაველთაგან მას უნდა დაპირისპირებოდა დინო რაჯი (სიმაღლე — 210 სანტიმეტრი), რომელიც ამ ცოტა ხნის წინ დაბრუნდა „ბოსტონ სელტიქსიდან“. ერთი სიტყვით, მეტოქეები ერთმანეთის ღირსნი იყვნენ.

ცენტრალურ თავდამსხმელთა დავაში გამარჯვება ნორისს დარჩა (18 ქულა). მან ექვსი ქულით აჯობა თავის ოპონენტს, მაგრამ შეხვედრის შედეგზე ამას დიდი გავლენა არ მოუხდენია.

სანუგეშო ფინალში (მესამე ადგილისათვის) ერთმანეთს შეხვდნენ საფრანგეთის „ლიმოჟი“ და საბერძნეთის „არისი“. აქ გამარჯვება ფრანგებს დარჩათ 103:91 (53:51), მაგრამ მატჩის საუკეთესო სნაიპერი ბერძენი ნიკოს გალისი იყო, რომელმაც თავის გუნდს 43 ქულა შესძინა.

## ინფორმაცია

**ნიცა.** ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის პირველ წრეში მარცხი განიცადა ფრანგმა პატრიკ ნოამ, რომელმაც ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კორტზე დაბრუნება გადაწყვიტა. იგი დამარცხდა შვეიცარიელ მარკ როსეტთან — 7:5. 3:6, 3:6.

**ტოკიო.** ფრენბურთელ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ჯგუფში ჰოლანდიელებმა დაამარცხეს მასპინძლები (3:0) და პირველი ადგილი დაიკავეს. მეორე ჯგუფში უძლიერესი იყო შვეციის ნაკრები, რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში იუგოსლავიის გუნდს აჯობა — 3:1.

## „სპორტლოტო“

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1990 წლის მე-15 ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** ტირაჟში დაშვებულია 1.735.729 ვარიანტი. 6 ნომრის გამოცნობისთვის (1) მოგება 10.000 მანეთია, ხუთისთვის (48) — 1.084, ოთხისთვის (2.736) — 28, სამისთვის (47.170) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 39.023 ვარიანტი. 6—0, 5—1, 4—78, 3—1, 0—15.

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** ტირაჟში დაშვებულია 18.945.815 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისათვის (19) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (4.465) — 206, სამისთვის (173.186) —10.

საქართველოში: დაშვებულია 544.767 ვარიანტი. 5—0, 4—138, 3—5.212.

მე-15 და 6-15 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1990 წლის 5 მაისიდან 5 ივნისის ჩათვლით.

# 40 წლის ფორმენი ისევ რინგზეა

**პროფესიული** მოკრივისთვის ორმოცი წელი თურმე არაფერს ნიშნავს. ყოველ შემთხვევაში მსოფლიოს ექსჩემპიონი მძიმე წონაში, ამერიკელი ჯორჯ ფორმენი ამ სადავო ჭეშმარიტების დამტკიცებას ცდილობს. იგი დიდი ხნის შესვენების შემდეგ დაბრუნდა რინგზე და ბრძოლას ბრძოლაზე იგებს. ფორმენს გადაწყვეტილი აქვს ძალები ახლანდელ მსოფლიო ჩემპიონთან მოსინჯოს. მისთვის სულ ერთია ვინ იქნება მეტოქე — ტაისონი თუ დუგლასი.

ამ დღეებში ნევადის შტატის საკურორტო ქალაქ ლეიკ ტახოში ექსჩემპიონმა მორიგი ბრძოლა გამართა მაიკ ჯემისონთან, მოკრივესთან, რომელიც ბოლო წლებში ტაისონის უცვლელი სპარინგ-პარტნიორი იყო. ორმოცი წლის ფორმენს (იგი 118 კილოგრამს იწონის) მეტოქემ მხოლოდ პირველ რაუნდში გაუძლო. მერე გამოიკვეთა ექსჩემპიონის უპირატესობა, რომელმაც მეოთხე რაუნდში ჯემისონი ნოკაუტში გაგზავნა.

როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, ფორმენის მომდევნო მეტოქე ახალგაზრდა ედილსონ როდრიგესი იქნება. გაისად, წლის დასაწყისში კი, ალბათ, მაიკ ტაისონს შეხვდება.

იმავე ლეიკ ტახოში პროფესიონალთა კიდევ რამდენიმე შეხვედრა გაიმართა, მათ შორის საბჭოთა მოკრივეების მონაწილეობით. ქვემსუბუქ წონაში ალექსანდრე არტიომოვმა მესამე რაუნდში ნოკაუტით მოუგო მატ ლეკურს. ასევე დროზე ადრე დაამთავრეს შეხვედრები ალექსანდრეს უმცროსმა ძმამ სერგეიმ (მსუბუქი წონა) და იური ბაულინმა (მძიმე). პირველმა დონალდ ტაუსენდს აჯობა, მეორემ — პაულ ბრედშოუს.



**თბილისის ცენტრალური სტადიონი**

**(ა. წერეთლის გამზირი № 2)**

**22 აპრილი ● ფეხბურთი**

**საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი**

**„იბერია“ (თბილისი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე)**

დასაწყისი 19 საათზე.

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები გაიყიდება სტადიონების სალაროებში 21 და 22 აპრილს დილის 10-დან 19 საათამდე, (შესვენება 14-დან 15 საათამდე), ხოლო ორგანიზაციებში 20 აპრილს.

**თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონი**

**21 აპრილი ● ფეხბურთი**

**საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი**

**(II ჯგუფი)**

**„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „საირმე“ (მაიაკოვსკი)**

დასაწყისი 15 საათზე

**„მგლები“ (თბილისი) — „ვარძია“ (ახპინძა)**

დასაწყისი 17 საათზე.

## „სპორტპროგნოზი“

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1990 წლის მე-15 ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 3.161.044 ვარიანტი. 13 შედეგი არავის გამოუცვნია. 12 შედეგის გამოცნობისთვის (85) მოგება 1.115 მანეთია, 11 შედეგის გამოცნობისთვის (1.362) — 278 მანეთი.

საქართველოში დაშვებულია 142.455 ვარიანტი. 13— 0, 12—2, 11—43.

მე-15 ტირაჟის მოგებები გაიცემა 1990 წლის 5 მაისიდან 5 ივნისის ჩათვლით.

**რედაქტორის მოადგილე**

**უ. ჭიჭინაძე.**

საქართველოს სპორტსახკომი, ფრენბურთის ფედერაცია, ვეტერანი ფრენბურთელები და გაზეთ „ლელოს“ თანამშრომლები იუწყებიან, სპორტის ოსტატ

**ვიქტორ ნიკოლოზის ძე გუხევის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-56,
„მერანი“ — 93-97-26, „მარაგი“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი**
**66485**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხაშარაულის, 30.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08779